



## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

დისციპლინური საქმე №209/17

ქ. თბილისი

-- -- (მოსარჩელის წარმომადგენელი) 2017 წლის 27 ნოემბრის N-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 18 ივნისის №209/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:**

საჩივრის ავტორის განცხადებით, 2014 წლის 22 დეკემბერს -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს პატივისა და ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შელახვის ფაქტზე. სასამართლო გადაწყვეტილება გამოცხადდა 2017 წლის 30 ივნისს. მოსამართლე -- -- გააჭიანურა საქმის განხილვა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას მოანდომა 2 წელი და 7 თვე.

გარდა ამისა, გადაწყვეტილების მიღებიდან 20 დღის შემდეგ, 20 ივლისიდან, მხარე უშედეგოდ ცდილობს დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას. შესაბამისად, დარღვეულია 259<sup>1</sup> მუხლის მოთხოვნა.

-- -- ასევე აღნიშნავს, რომ საქმის განხილვის დროს მოსამართლე აკეთებდა დიდაქტიკურ განცხადებებს. ეს დასტურდება სხდომის ვიდეო და აუდიო ჩანაწერებით.

## **2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

2014 წლის 22 დეკემბერს -- -- (წარმომადგენელი -- --) სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის -- -- მიმართ და მოითხოვა, -- -- მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით (ვებ-გვერდი - --) გავრცელებული ინფორმაციის ცილისმწამებლურად, პატივისა და ღირსების შემლახვად აღიარება და მოპასუხისთვის ამ ცილისმწამებლური ინფორმაციის იმავე საშუალებით უარყოფის დავალება, რომლითაც ის იყო გავრცელებული. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების მოპასუხისათვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი სასამართლოს წარედგინა 2014 წლის 31 დეკემბერს. ამ დოკუმენტის თანახმად, მოპასუხეს სარჩელი ჩაბარდა 2014 წლის 30 დეკემბერს.

2015 წლის 08 იანვარს მოპასუხემ წარადგინა შესაგებელი.

-- -- 2015 წლის 24 ივნისის განჩინებით საქმეზე მთავარი სხდომა დაინიშნა 2015 წლის 24 ნოემბერს.

2015 წლის 26 ივნისს -- -- (-- --) განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- და ითხოვა, საქმის განხილვის დაჩქარება.

2015 წლის 22 სექტემბერს მოსამართლე -- -- მოხსენებითი ბარათით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარეს, ბატონ -- -- და უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო, ითხოვა წინამდებარე საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაცემა.

2015 წლის 01 ოქტომბერს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. 2015 წლის 24 ნოემბრის აქტის საფუძველზე, 2015 წლის 24 ნოემბრის სხდომა გადაიდო სხვა დროისთვის.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსამართლე -- -- მოსამართლედ გამწესდა 2016 წლის 04 იანვრიდან.

2016 წლის 18 იანვარს საქმე განსახილველად ისევ დაუბრუნდა მოსამართლე -- --.

2016 წლის 12 აპრილს -- -- (-- --) განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- და ითხოვა, საქმის განხილვის დაჩქარება.

საქმეზე მთავარი სხდომა გაიმართა 2016 წლის 25 ოქტომბერს. სხდომაზე მოსამართლე -- -- განიხილა მხარეთა შუამდგომლობები და მიიღო შესაბამისი საოქმო განჩინებები. სხდომაზე გამოცხადდა შესვენება და საქმის განხილვა დაინიშნა 2017 წლის 03 თებერვალს.

ამის შემდეგ, საქმეზე გაიმართა რამდენიმე სასამართლო სხდომა, 2017 წლის 03 თებერვალს, 2017 წლის 02 ივნისს და 2017 წლის 30 ივნისს. 2017 წლის 30 ივნისის სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

2017 წლის 27 ივლისს -- -- განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- და მოითხოვა, დასაბუთებული გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარება. 2017 წლის 15 ნოემბერს მხარემ იდენტური მოთხოვნით ისევ მიმართა სასამართლოს.

დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეს გაეგზავნა 2017 წლის 20 ნოემბერს. 2017 წლის 21 ნოემბერს მოსარჩელეს ჩაბარდა 2017 წლის 30 ივნისის დასაბუთებული გადაწყვეტილება.

**2.2.** 2015 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსამართლე -- -- განსახილველად გადაცემული ქონდა 348 საქმე, რომელთაგანაც დაასრულა 113 საქმის განხილვა (32.4%). 2016 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, განსახილველად გადაცემული ქონდა 963 საქმე, რომელთაგანაც დაასრულა 492 საქმის განხილვა (51%). 2017 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, განსახილველად გადაცემული ქონდა 739 საქმე, რომელთაგანაც დაასრულა 426 საქმის განხილვა (57.6%).

### **3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>8</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წინასწარი შემოწმების შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აფასებს მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობას და წინასწარი შემოწმებისათვის ამ კანონის 75<sup>7</sup> მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დისციპლინურ საქმეს დაერთვება.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ათმა წევრმა, მოსამართლის დატვირთულობის გათვალისწინებით მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიერ არ იკვეთებოდა დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნები და არ არსებობდა დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველი, ხოლო სამმა წევრმა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შემდეგ მიიჩნია, რომ არსებული ფაქტობრივი გარემოებები ქმნიდა მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველს (ერთი ბიულეტენი გაბათილდა).

ამდენად, ვინაიდან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>8</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3 (მინიმუმ 10 წევრი) დაუჭერს მხარს, ხოლო მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ათმა წევრმა დაუჭირა მხარი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>8</sup> მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75<sup>8</sup> მუხლის პირველი პუნქტით,

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე N209/17, მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი